№ 256
1877

# ივერია

№ 256
1903

ნოემბერი 30, კვირა 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ნოემბერი 30, კვირა 1903 წ.

## რედაქციისაგან

უმორჩილესად ვსთხოვთ იმ ხელის მომწერთ, რომელთაც გაზეთის ფული სრულად არ შემოუტანიათ, დაიჩქარონ ფულის შემოტანა.

პირველ დეკემბრიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 1 მან. 50 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

კნეინა სოფიო ვასილის ასული, თავადი კონსტანტინე, კნიაჟნები ანასტასია და ბარბარე და კნეინა ქეთევან ჯიბრაილის ასული ამირეჯიბნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა უეცრივ გარდაცვალებასა პირველი ქმრისა, მეორენი—მამისა, ხოლო უკანასკნელი—მამამთილისა 1-ლ კავკასიის ჯართ-კორპუსისა გენერალ-ლეიტენანტის

**თავადის მიხეილ ქაიხოსროს ძის ამირეჯიბისას**

პანაშვიდები 28 და 29 ნოემბერს 1 და 7 საათზედ. გამოსვენება მიცვალებულისა საკუთარ სადგურიდან კრილოვის ქუჩაზედ № 8, 30 ნოემბერს, დილის 10 საათზედ, დიდუბის ეკკლესიაში, რომლის გალავანშივე დაკრძალულ იქნება გვამი მიცვალებულისა. (3—3)

**როინაშვილისეული ფოტოგრაფია.**

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების

## ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

## იჯარით აქვიდმ

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;
2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;
3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, მეცამეტე სურათი, მიეცემა **მუქთად** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოვოდ დახატული.**
4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიე ფასად.

მოსწავლე ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცემაძე.**

**ყირარდის მანუფაქტურის საწყობი**

სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა

მომავალ სეზონისათვის მიღებულია და ყოველ-დღე მოდის დიდ-ძალი რუსეთისა და საზღვარ გარეთის ნაწარმოები მაღალ-ღირსებისა და მებელების მატერიები, ფარდები, ხალიჩები, საფიანდაზო, ბაზრობა, ზონრები და სხვა.

ხელოვნური ტყავი „Pantasote“ სხვა-და სხვა ფერისა.

## ლინოლეუმი

იატაკზე დასაგები, პარკეტის მაგივრა. ლინოლეუმი—ხალიჩა და ფიანდაზი, კლეონკა

**დონნერი და ლეიტცი.**

წარმოდგენა № 24. ტელეფონი № 617

## ქართული თეატრი

კვირას, 20 ნოემბერს 1903 წ.

ქართველ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

I

**ციხის საიდუმლო**

დრამა 4 მოქ. გადმ. ვ. გუნიას-მიერ

II

## ბუტიაობა

ვოდევ. 1 მოქმ. ·ც წერეთლისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გაბუნიაცაგარლისა, ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ გუნია, გ· გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად კ. მესხის საბენეფისოდ «რუსთაველი».

რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი

**რუსული ოპერა**

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

**კვირას, 30 ნოემბერს 1903 წ.**

მეათე გალა-სპექტაკლი, ნ. ნ. ფიგნერის მონაწილეობით.

წარმოდგენილი იქმნება

I

## სნეგუროჩკა

ოპერა 4 მოქ. პროლოგით მუს. რიმსკი-კორსაკოვისა

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: გალცინა, კარტავინა; სელიუგ,-რაზიატოვსკაია, დელინა, სკორუპსკაია, ბ-ნნი სელიავინი, ილიუშჩენკო, ევლახოვი, ტულიაევი, სანგურსკი, გრინევი, გავრილოვი.

კაპელმეისტერი ბ-ნი პოზენი

უფროსი რეჟისორი ბოგოლიუბოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

სამშაბათს 1 დეკემბერს, ვერის უბნის სკოლის სასარგებლოდ, ნ. ნ. ფიგნერის მონაწილეობით: «კარმენ» ბიზესი.

გამოვიდა და ისყიდება ახალი წიგნაკი

**კრება ანუ ბიბლიოთეკის დაარსება**

სატირა-პოემა კ. მაყაშვილისა

იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში ქალაქში, ქუთაისში და ბათომში და სხვ. ფასი ორი შაური.

10—10.

## ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 სათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ექიმი

## ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**მ. ი. ჯიჯინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.
**ლ. ი. კამოევი.** საშარდ., ვენერ. და სიფილ. 10—11 ს.
**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.
**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილებისა 10—11 საათ.
**ა. გ. მაღალაშვილი.** შაკ. და შინაგ. 10—11 ს.
**ვ. დ. ლამბაშიძე.** შინაგ და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.
**ლ. მ. მოჩინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.
**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.
ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.
**ზრ. მ. სოგოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით. ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.
**მ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**საღამოთი:**

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით. (წ.)

46—8 ტელეფონი № 274

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.
**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
**მ. გ. ავეტისიანცი.** 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.
**ი. ბაბანასოვი.** დ ლის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.
**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია
**გ. ს. ლევი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.
ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.
**მ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
**ბ. ა. ნავასარდიანი.** 8½—8 ს.
**ს. ტ. აგვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ მასსაჟს», აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памяти. Воронцова.

(წლ.)

ტფილისი, 30 ნოემბერი.

დღეს, როდესაც საქართველოს ეკლესია თაყვანსა სცემს სახელს წმ. ანდრია პირველ-წოდებულისას, რომელმაც, სხვათა შორის, დასავლეთ საქართველოსაც მოჰფინა სახარების მოძღვრების ცხოველმყოფელი სხივები, საჭიროდ მიგვაჩნია ვთქვათ ორიოდე სიტყვა მოციქულთა მიმბაძავის ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს შესახებაც...

ოფიციალური სამღვდელმთავრო მსახურება ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრესი საქართველოს ეკლესიის სასარგებლოდ უკვე დასრულდა. დღეის შემდეგ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, ეს მცხოვანი და მადლით მოსილი იერარქი საქართველოს ეკლესიისა იცხოვრებს თვის მიერ განახლებულს წმ. შიოს მღვიმის მონასტერში, რომლის ზღუდეთა შორის ა\[..\]ე უყვარდა \[..\]ყოფნა და ლოცვა და ვედრება ღვთისა.

ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, სამურზაყანო, გამაჰმადიანებული საქართველო და აფხაზეთი, ერთის სიტყვით, მთელი ძველი ისტორიული საქართველო იცნობს ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს და მის სახელის მიმართ ღრმა პატივისცემის გრძნობით გამსჭვალულია.

ყაზანის სასულიერო აკადემიაში კურსის დამთავრების შემდეგ 1850 წელს, ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე მთელი ორმოცდა ცამეტის წლის განმავლობაში იღვწის თვისის მშობლიურის ეკკლესიისათვის? იღწვის, ასულდგმულებს, ყოველ გვარს დახმარებას უწევს ამ ეკკლესიას, გული სტკივა მისთვის. ქართული ტაძარი, ქართული წირვა-ლოცვა, ქართული მოძღვრება, ქართული საეკკლესიო გალობა, ქართულ სასულიერო მწერლობის განვითარება, ქართველის ერის გულში მშობლიურ სიწმიდეთა მიმართ მხურვალე სიყვარულის გაღვიძება და ღრმად ჩანერგვა—აი საგანი, რომელსაც მხურვალედ ემსახურებოდა ღვთივ-გაბრძნობილი მწყემსთ-მთავარი. სამშობლოსა და ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს შორის გაბმული იყო სიყვარულის და თანაგრძნობის ძაფი. უუხუცესი მწყემს მთავარი ჰფიქრობდა, სუნთქავდა, მოძრაობდა, სცოცხლობდა და იღვწოდა სამშობლოსთვის, ისე როგორც ქრისტე ჰზრუნავდა თვისის ხორციელის სამშობლოსა და ღვიძლის ერისათვის. «გზას წარმართთასა ნუ მიხვალთ, უბრძანა მან თვისთა მოწაფეთა, რაცა გაჰგზავნა საქადაგებლად,—და ქალაქსა სამარიტელთასა ნუ შეხვალთ, არამედ მივედით უფროს ხოლო ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაელისათა» (მათე 10, 5—6). თუ რა რიგ სწყუროდა იესოს აღყვავება თვისის ხორციელის სამშობლოსი და მშობელ ერის აღდგენა და წარმატება, სჩანს შემდეგ მის სიტყვებიდანაც: «იერუსალიმ! იერუსალიმ! რაოდენ გზის ვინებე შეკრებაი შვილთა შენთა, ვითარცა სახედ შეიკრიბნის მფრინველმან მართვენი თვისნი ქვეშე ფრთეთა თვისთა, და არა ინებეთ?! (მათე 23, 37).

ნურავინ იფიქრებს, რომ სასულიერო წოდების კაცნი არ არიან ვალდებულნი სამშობლოს წარმატებას ემსახურონ. უამისოდ მათი სამსახური განყენებულია, ჰაერზეა დაკიდული,—ერის არსებაში, მის სულსა და გულში არა აქვს მოპოვებული ნიადაგი. სამშობლოს სულიერ წარმატებისათვის სამსახური მოითხოვს, რომ მოღვაწემ იცოდეს ზედ-მიწევნით მშობლიური ენა, უყვარდეს მშობლიური მწერლობა, ქირდვით არ ეპყრობოდეს ყოველსავე, რასაც მშობლიური ბეჭედი აზის, თანაუგრძნობდეს მოძმე ერის საუკეთესო და კანონიერს მისწრაფებას... უამისოდ სასულიერო მოღვაწისა და სამწყსოს შორის დიდი უფსკრული გაჩნდება და ის ჭეშმარიტი მწყემსის მსგავსი არ იქნება, არამედ ემსგავსება სასყიდლით დადგინებულს, რომელმაც „იხილის რა მგელი მომავალი, დაუტევნის ცხოვარნი და ივლტის; და მგელმან წარიტაცნის იგინი და განაბნინის ცხოვარნი». (იოანე 10, 12).

დღეს, როდესაც ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრემ სამსახურს თავი დაანება, ზნეობრივს მოვალეობად ვთვლით ჩვენის გულის და სულის სიღრმიდამ ვუძღვნათ მათს მეუფებას მხურვალე მადლობა ყოვლისა მისთვის, რაც მან იღვაწა ჩვენის ქვეყნისათვის, რომელსაც ნაკლებად ჰყავს უანგარო მოღვაწენი. შემკული და გამსჭვალული ცხოველის სარწმუნოებით, რომელიც თვინიერ საქმეთა მკვდარს არს, მათი მეუფება უხვად ჰფენდა თვისის ქველმოქმედების მადლს საქართველოს ყოველს კუთხეს, ამიერ-იმერეთში. ჩვენდა სამარცხვინოდ, ჩვენთ თვალთწინ ინგრეოდა და იბღალებოდა, თითქმის ისპობოდა სხვათა შორის ისეთნი შესანიშნავნი ტაძარ-მონასტერნიც, რომელნიც ძველად განათლების შუქს ჰფენდნენ საქართველოს არე-მარეს; თვით ნანგრევნი მათნი იდუმლად ჰგლოვობდნენ თვის აოხრებას, უმწეობას, უპატრონობას და თანაც თითქოს დასტიროდნენ ქართველთა გულ-გრილობას მშობლიურ სიძველეთა მიმართ. ჰკითხეთ დღეს წმ. შიო მღვიმელის, იოანე ზედაძნელის, წმ. ჯვრისა, დავით გარეჯელის მონასტრებს და სხვა ძველს ნაშთებს ქართულის ხუროთ-მოძღვრებისას, ვინ იზრუნა მათთვის, ვინ აღადგინა, ვინ განაახლა, ვინ არ დაზოგა მათთვის შრომა-ღვაწლი და თვისი ქონება?! ისინი გეტყვიან და მოგითხრობენ, რა ღვაწლი, რა ამაგი დასდო ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრემ.

დიდი ფული დახარჯა მათმა მეუფებამ ქართულ საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღებისათვის და მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებთა დასაბეჭდად. საბა სულხან-ორბელიანის „ლექსიკონი“ ანტონ კათოლიკოზის „მზა—მეტყველება“, მისივე „სწორ-მეტყველება“, ამბროსი ნეკრესელის „მოძღვრებანი“, წმ. შიოს მონასტრის გუჯრები და მრავალი სხვა ხელთ-ნაწერი დაიბეჭდა ყოვლად-სამღვდელო

ალექსანდრეს საფასით. საეკლესიო სიძველეთ-საცავს მათმა მეუფებამ შესწირა 2200 მანეთი ძველ საყურადღებო ქართული ხელნაწერების დასაბეჭდად. 21000 მანეთი მათმა მეუფებამ წმ. შიოს მონასტერს შესწირა, ამავე მონასტერში თვისის ძმისწულის იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის მხურვალე დახმარებით განაახლა ქართულს გემოვნებაზე ღირსის მამის შიოს საფლავზე აღშენებული ძველი ტაძარი. 11,700 მანეთი ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრემ შესწირა წმ. იოანე ზედაძნელის მონასტერს. რამდენს ახალგაზრდა ქართველს, განათლების მოსურნეს, აღმოუჩინა მათმა მეუფებამ ნივთიერი დახმარება და მისცა სალსარი სწავლის შეძენისა?! ტფილისის სასულიერო სემინარიასა და საეპარქიო დედათა სასწავლებელში მათმა მეუფებამ სტიპენდიები დააარსა. ანკი ვინ ჩამოთვლის მათის მეუფების შეწირულებას სხვა-და-სხვა საქველმოქმედო საქმისათვის?!. თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ მათს მეუფებას ამ მხრივ მეცხრამეტე საუკუნეში ვერც ერთი ქართველი მღვდელთ-მთავარი ვერ შეედრება.

ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს მოკლე, მაგრამ გრძნობიერი სიტყვები, სხვა-და-სხვა დროს წარმოთქმული, მეტად საგულისხმოა. მათს მეუფებას მრავალსიტყვაობა არ უყვარდა, მოკლედ მოსჭრიდა აზრსა, და ცხად-ჰყოფდა მსმენელთათვის. პირმოთნეობა, გველაძუობა, ქვეშ-ქვეშობა, უსაბუთო ქედის მოხრა მათს მეუფებას სძულდა... ძე ქართლის შუაგულისა, ქართველის დედის ძუძუთი აღზრდილი, ყოვლად სამღვდელო გულახდილი და პირდაპირია... ეს დიდი ღირსებაა ადამიანისა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დუმილი, ხმის ამოუღებლობა საზოგადო ინტერესებს ურსებითად ჰვნებს...

დღეს მათს მეუფებას, ჩვენს საყვარელს მწყემს-მთავარს, შეუძლიან გაითვალისწინოს დამშვიდებით მთელი თვისი ხანგრძლივი სიცოცხლე, შემკული და დაგვირგვინებული მისის სახელის უკვდავ-მყოფელის სახელოვანის საქმეებით. შეუძლიან დანარჩენი დღენი თვისის სიცოცხლისა მყუდროებით და სიმშვიდით განატაროს მონასტრის ზღუდეთა შორის... სვინიდისი, ეს მოუსყიდველი მსაჯული, არ დაუწყებს ქენჯნას მის სულსა, არ დააყვედრებს უმოქმედობას, უქმად ყოფნას, ცხოვრების გზის განვლას კვალის აღუბეჭდავად. დარწმუნებული ვართ, რომ თვის საყვარელს სამშობლოს სულკურთხეული მღდელ-მთავარი არც დღეის შემდეგ დაივიწყებს თვისთა ლოცვათა ჟამს და ხშირად შესთხოვს მაცხოვარს, რომ მის წმიდა დედის ხვედრს საქართველოს არ მოაკლოს აწმყოსა და მომავალში უანგარო და გულშემატკივარნი მოღვაწენი... მტკიცენი ხასიათით, მდიდარნი ცოდნით, სპეტაკნი ზნეობით, განთქმულნი ნამდვილ ადამიანობით, ცნობილნი ჭეშმარიტის ქართველობით...

# ტფილისი

დღეს, 30 ნოემბერს, ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება „ციხის საიდუმლო“, დრამა 4 მოქმედებად, გადმოკეთებული ვ. გუნიას-მიერ და „ბუტიაობა“, ვოდევილი 1 მოქმედ. აკაკი წერეთლისა. ადგილების ფასი დაკლებულია.

როგორც გადმოგვცეს, საქართველოს ეგზარხოსი ალექსი ტფილისში 20—29 დეკემბრამდე ვერ დაბრუნდება პეტერბურგიდან.

მერმისიდან უნდათ შემოიღონ ჩვენს რკინის გზაზედ მეოთხე კლასის ვაგონები. ამ აზრით, რკინის გზა შეიძენს 200 ვაგონზედ მეტს და მოუბამს ხოლმე ყოველს მატარებელს ხალხის იაფად წასაყვან-წამოსაყვანად. ამისთანა ღონისძიება თუ უშველის იმ გარემოებას, რომ ასე გავრცელებულია უბილეთოდ მგზავრობა ამიერ-კავკასიის რკინის გზებზედაო.

საერო განათლების სამინისტრომ შეიწყნარა კავკასიის სამოსწავლო ოლქის შუამდგომლობა. შუამდგომლობა შეეხებოდა ფულის გადადებას. ყოველს წელიწადს სამინისტრო კავკასიის სამოსწავლო ოლქს აძლევს 85.779 მანეთს. ოლქმა დამატებით ითხოვა 29.000 მანეთი. ამ ფულით ახალი სკოლები უნდა დაარსდეს ამიერ-კავკასიის იმ სოფლებში, სადაც მაჰმადიანნი სცხოვრობენ. საჭირო ცნობათა შეკრებას უკვე შეუდგნენ ერევნისა, განჯისა და ბაქოს გუბერნიებში.

1904 წლის პირველ იანვრიდან ბაქოსა და ტფილისს შუა ივლის ორი ახალი მატარებელი სახალხო-საქონლისა. თვითოეულ მატარებელში ოთხივე კლასის ვაგონები იქმნება.

როგორც გადმოგვცეს, ბ-ნ აბულაძის სოხუმის თავად დამტკიცების საქმე ჯერ არ გათავებულა. საქმე იმ გარემოებას შეუყენებია, რომ მამულს, რომელიც ბ-ნ აბულაძის ცენზად იყო დასახელებული, ქალაქის ვალი სდებია.

ამას წინად ვწერდით, ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის სახელოსნოში რამდენსამე დაწესებულებას ნისიათ შეუძენიათ ავეჯეულობა და ფული-კი დღემდე არ მიუციათ სასწავლებლის გამგეობისათვისაო. ეს გარემოება სასწავლებლის დირექტორმა აცნობა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომელმაც გუშინ-წინ კრებაზე დაადგინა, სთხოვოს მათ, ვინც ნისიათ წაიღეს ნივთები და ავეჯეულობა, დაუყოვნებლივ წარადგინონ ფული. ამას გარდა, ქალაქის გამგეობამ მისწერა სახელოსნო სასწავლებლის გამგეობას, ვის განკარგულებით გაიცა ნისიად ნივთებიო.

ღარიბთა პირველ თავ-შესაფარის შესაკეთებლად ქალაქის გამგეობამ გადასდო—166 მანეთი, მეორე თავ-შესაფარის შესაკეთებლად 170 მანეთი. გუშინ-წინ ქალაქის გამგეობის სააღმშენებლო განყოფილებამ მისწერა ქალაქის ტეხნიკოსებს, ჩქარა დაიწყეთ თავ-შესაფართა შეკეთებაო.

დღემდე სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეთ მუშაობისაგან საღამოს 6 საათზე ანთავისუფლებდნენ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, მოწაფენი ავდრიან დღეში საღამოს 5 საათზე დაითხოვონ, რომ ქალაქის განაპირა მცხოვრებთ სახლში მისვლა თავის დროზე მოასწრონ.

მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს დეპარტამენტმა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას წინადადება მისცა, ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლის მდგომარეობა გააუმჯობესეთ ორის წლის განმავლობაში, თორემ სკოლას დაგიხურავთო. ორი წელიწადი ახლა გავიდა და სამეურნეო საზოგადოებამ მიწად-მოქმედების დეპარტამენტს გაუგზავნა ვრცელი პასუხი, რომელშიაც ჩამოთვლილია, თუ რა და რა გაუმჯობესება იქნა შეტანილ სკოლაში. საზოგადოებამ, ამას გარდა, ხსენებულს სამინისტროს გაუგზავნა თხოვნა შემწეობა აღმოგვიჩინეთ საბაღოსნო სკოლასთან მარნის მოსაწყობადაო.

5 დეკემბერს დანიშნულია პირველი 1903 წელს მორიგი კრება კავკასიის ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთა და რწმუნებულთა. კრება, სხვათა შორის, განიხილავს წლიურს ანგარიშს საზოგადოებისას.

ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლემ ამირხანიანცმა სახელოსნოში მუშაობის დროს თვალი გამოითხარა. სახელოსნო სასწავლებლის მთავრობამ სთხოვა ქალაქის გამგეობას, ატესტატი მიეცეს ამირხანიანცსაო. ქალაქის გამგეობამ ეს თხოვნა არ შეიწყნარა.

ქალაქის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორმა ბ-ნმა სტეფანოვმა დაავალა ქალაქის ქიმიკოსს ბ-ნს ალიბეგოვს, დაათვალიეროს ტფილისში ყველა საკანდიტრო და კამფეტის ფაბრიკები, ხომ რაიმე მავნებელს მასალებს არ ხმარობენო.

27 დეკემბერს ქალაქის ხორცის დუქნების მეთვალყურე კომისიას კრება ჰქონდა. პირველად იმაზე იყო ბაასი ხორცის დაყოფა რამდენსამე ხარისხად გავაკეთოთო. კრებამ კამათის შემდეგ უარჰყო ეს წინადადება. კრებამ დაადგინა, ზოგი ხორცი, რომელიც იყიდება პირველ ხარისხის ხორცის სახელით, ამას შემდეგ გაიყიდოს მეორე ხარისხის ხორცად. პირველ ხარისხის ხორცს კრებამ დაუკლო ერთი კაპეიკი. თავის გადაწყვეტილებას ეს კომისია მოკლე ხანში ქალაქის საბჭოს წარუდგენს დასამტკიცებლად.

ერევნის საპყრობილეში ამ ჟამად ტუსაღებს აღარ გზავნიან, რადგან ტუსაღთა შორის საოფლე გაჩენილა.

10 დეკემბერს დანიშნულია ზაფხულის სეზონის შემდეგ პირველი მორიგი კრება კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოებისა. ამ საზოგადოების მოქმედების ანგარიში შედგენილია და კრებას წარედგინება ამ დღეს განსახილველად

ტფილისის გუბერნიის უფროსს დუშეთის ქალაქის მოურავმა წარუდგინა ვრცელი ანგარიში ქალაქის შემოსავალ-გასავლისა 1902 წელში. სულ შემოსავალი ყოფილა 3,848 მან., დახარჯულა 3.684 მ.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა გუშინ-წინ, ქალაქის გამგეობის და საგანგებო კომისიის შეერთებულ კრებაზე განვიხილოთ თუ რა ღონისძიებათა მიღებაა საჭირო, რომ კერძო კაცებმა აღარ მიითვისონ ქალაქის მამულიო.

ნ. ი. თამამშევმა ქალაქის გამგეობას ამას წინად მისცა ქაღალდი, ქალაქის გამგეობის კრებაზე დაწრების ნება მივცეთ პრესის წარმომადგენელთაო. ქალაქის თავმა თავ. არღუთინსკიმ უპასუხა გუშინ წინ, კანონის ძალით ქალაქის გამგეობის კრებაზე დასწრების ნება არა აქვთ პრესის წარმომადგენელთ და ამიტომ ნების მიცემა შეუძლებელიაო.

ორჯელ იყო დანიშნული კრება ტფილისის მდაბიო მოქალაქეთა საზოგადოების რწმუნებულებისა, მაგრამ არც ერთხელ არ შესდგა. შენობის ქირას-კი 6 მანეთს მაინც აძლევს საზოგადოებას. აუარებელი საქმეები საზოგადოებას განუხილველი რჩება. ჯერ არც-კი განუხილავს 1903 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიამ ამ დღეებში დაათვალიერა ქალაქის ხორცის მესამე დუქანი. დუქანში ყველაფერი თავის რიგზე ჰნახა. სარევიზიო კომისია მალე სხვა დუქნებსაც დაათვალიერებს.

დღეის იქით ვადა გაუვიდათ საჩივრის შეტანისა იმ მეტრაქტირეებს, რომელნიც კმაყოფილნი არ იყვნენ მათზე გაწერილ გადასახადისა. საჩივარი დღემდე 17 შევიდა. წინად 70-დე ადიოდა.

ჩვენ ვწერდით, ფოსტა-ტელეგრაფის მმართველობაში სწრაფად მომუშავე აპარატი უნდა დადგანო. ამას დავუმატებთ რომ ტელეგრაფისტთა შტატი ამის გამო ერთობ გადიდებულ იქმნება.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა, 50 მანეთით შემწეობა აღმოუჩინოს ქალაქის პროფესიონალურ სასწავლებლის მასწავლებელ ქალს ზნამენსკისას, რომელიც ამ ჟამად ავად არის.

ჩვენ შემოგვჩივლეს სასტუმროებში ჩამომხდარმა მგზავრებმა, რომ ვერას გზით ვერ შეუტყვიათ ბეჯითად, როდის იგვიანებს რკინის გზის მატარებელი და როდის გადის ქალაქიდან დანიშნულ დროს. ამის გამო მგზავრები თავის ბარგით ხშირად მიდიან სადგურზე დანიშნულ დროს და უკანვე ბრუნდებიან, რადგან მატარებელი იგვიანებსო. ზოგმა მგზავრმა სცადა დაჰლაპარაკებოდა რკინის გზის სადგურის კონტორას ტელეფონით, მაგრამ რიგიან პასუხს არავინ იძლევა თურმე და ტელეფონისტი ქალები მასხარაობენ კიდეც. ნუ თუ ამისთანა ამბავი რიგიან დაწესებულებაში შესაწყნარებელია?!

დიდუბის ეკკლესიის წინამძღვრად, მღვდელ კალისტრატე ცინცაძის ადგილას, რომელიც ტფილისის ქვაშვეთის ეკლესიის წინამძღვრად გადმოიყვანეს, გაუმწესებიათ ფოთის საკათედრო ეკლესიის დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე.

# ჩვენებური ამბები

**ქვემო იმერეთი.** გათავდა რთველი. შესწყდა გზებზედ გაბმული ჭრიალი ურმებისა. მაშვრალმა ყანიდგან სახლში ჩამოიტანა თავისი მთელის წლის ნაშრომ-ნაღვაწი. ჩალები დაზვინა და სიმინდი სამზეურებზედ უურია გასახმობად.

ხშირად დასტქერის მუშა თავის ოფლით მონაღვაწ სიუნჯეს აიღებს. ტარო ხელში და გულმოდგინედ აკვირდება. ამ დროს სახეზედ დადრეჯილობა ეტყობა; რადსაც ბუტბუტებს, თითქოს ვისმე ესაუბრებაო. წესით, ამ დროს მხიარული უნდა იყვეს,—შემოდგომა მუშისათვის მეორე აღდგომაა.

მაშ, რამ დაადონა, რამ დაადონა? რა მიზეზი ამ დიდ მწუხარებისა? მიზეზი ერთობ დიდია. წრევანდელმა წელმა უმუხთლა: შარშანდლის ნახევარი მოსავალიც არ მისცა და იმასაც ჰელით გამოხვრას უქადის. დიდ წელს სიმინდებმა მოტეხის უმაღვე, იწყეს ჰელად გამოსვლა და ამან ხალხი დიდად შეაშინა. თუმცა შარშანდელ სიმინდსაც შეეტყო ჰელად გამოსვლა, მაგრამ ხალხი ასე არ შეუშინებია, რადგანაც ეს იყო ზაფხულის დამლევს და ისიც აქა-იქ. წელს-კი თითქმის ყველგან არის.

«ამის წინაღმდეგ არის საშუალება და რისთვის არ იხმარებენო»—იტყვის მკითხველი. მაგალითად ბ-ნ პოჩინსკის საშუალება მეტად უბრალო და ადვილი მოსახერხებელია და შემოიღონო.

ამ საშუალების ცოდნა ჯერ არ არის ხალხში რიგიანად გავრცელებული. სოფლის ხალხი თვალს უფრო უჯერებს ვიდრე ყურს. ამისათვის საჭიროა დაანახვოს მაგალითი. წელს რომ შეგნებულნი შემოიღებდნენ, გაისისთვის უბირთა შორისაც გავრცელდება.

დიდ სამსახურს გაუწევენ ხალხს სხვა-და-სხვა საზოგადო დაწესებულებანი: სკოლა, ბანკი და სხვა, რომ გააკეთებდნენ საზოგადო სიმინდის ჰელის საჩრობ ორმოებს.

ამ ცუდ მოსავალთან გლეხს თანდათან ემატება სხვა-და-სხვა მოთხოვნილება. თუ დღეობით არა, თვეობით მაინც მატულობს გარდასახადი.

ყველა ამ გაჭირებასთან წელს ავად-მყოფობამაც იჩინა თავისი ძალა. ძლიერ ხშირია სოფლებში ციებ-ცხელება, ყელის ტკივილი და სხვა სნეულობა. ექიმი სოფლებში იშვიათია, რადგანაც, თუ სოფელი ქალაქიდგან 5—6 ვერსის მანძილზეა დაშორებული, მარტო ექიმის მოწვევა, წამლის გარდა, ჯდება არა ნაკლებ 5—6 მანეთისა. ისიც მხოლოდ იქ, სადაც კარგის გზების გამო ეტლი დადის, ცხენით სიარული ზოგიერთს ჩვენს ექიმს ჭირივით ეჯავრება. ამისათვის იძულებულია ექიმს თავი დაანებოს და შინაურ სა-

---

# ფელეტონი

### შურდული

(საკვირაო გაზეთი)

### XXXII

ტფილისი, 30 ნოემბერი.

ზღაპრად ნათქვამია: იყო და არა იყორა, იყო ერთი დრო, როდესაც მუხას ვაშლი ესხა და ვაშლს რკოვო. ამისი რა მოგახსენოთ და ჩვენ აწ ისეთს დროს მოვესწარით, როდესაც, ჭკუა დამჯდარ ადამიანების ნაცვლად, ჩვენს ქვეყანას, როგორც ვაშლს რკო, ანუ მუხას ვაშლი, მოესხა ქარაფშუტა ადამიანები. თუ არ ქარაფშუტა, მაშ, ვინ იტყვის ამისთანა თავხედურს აზრსა: „აწმყო გველივით მეზიზღება, წარსული ჭირივით მეჯავრება“-ო.

პატივცემულმა „შინ და გარედ“-ის ავტორმა განმა ცხადზედ უცხადესად დაუმტკიცა „კვალის“ სულის ჩამდგმელს მტკნარი სიფუქსავატე, ქარაფშუტობა ზემორე დასახელებულის აზრისა, მაგრამ კედელს ცერცვი შეაყარეთ, არ მიადგება. სთქვა, გაათავდა: თავხედი იმის თავხედია, რომ თვის თვალთ იქით არა რაის ჰხედავს.

ესეც არის სათქმელი: მთელს თავის სიცოცხლეში რომ იმოღვაწეოს „კვალის“ სულის ჩამდგმელმა, ამისთანა გენიოსურს სისულელეს თავის დღეში ვერ შეჰხანხლავს. ამით გაიუკვდავა თავი თვისი, ვითარცა ჰეროსტრატმა დიანის ტაძრის დაწვითა.

დავვილოცნია მისთვის ეს გზა!

—

### სამი მგზავრი

(ლეგენდა)

მწვანე ხავერდის ტრიალ მინდორზე
სამი ქვეითად მიჩანჩალებდნენ,
და რა მივიდნენ ალაზნის პირას,
სამივ დიდ მუხის გრილოში დასხდნენ.
ერთ იმათგანსა ერქვა ტეტია,
მეორე იყო დალალ-ბაღია
და მესამესა ეძახდნენ ხეჩოს,
სამთავ სიცხისგან ჰქონდათ უბა დია.
ბაღიამ სთქვა: «იცით, ძმებო-ჯან,
ერთ რასმე გეტყვით, გამიგონეთო,
ყველა ჩვენგანმა ვინატროთ რამე,
აბა, ვის რა სურთ, მიიგონეთო».
«ჯერ შენა თქვიო», უთხრა ტეტიამ
და ბაღიამაც შეჰვედრა ღმერთსა:
«უფალო, შენი მადლის ჭირიმე,
შე ამასა გთხოვ, ამ ერთად-ერთსა:
ათ-ათ თუმნებათ გადმიქციე,
რაც ამ მუხაზე ფოთოლი არი,
რომ უცბად გავხდე მეც დიდი ვინმე,
ან ფოდრაჩიკი, ან სოვდაგარი,
რომ ჩემის ფულით დუქნებს ვუხსნიდე
საქართველოში სომხეთის კაცებს,
რომ მთლად კახეთი ხელში ჩავიგდო
და ვებატონო უზგო, გიჟ-ვრაცებს“. *)
მერე ხეჩომ სთქვა: «ღმერთო მოწყალე,
მეც ყურადღება მომაქციეო,
მე ამასა გთხოვ: ეს ალაზანი
კახურ შავ-ღვინოთ გადმიქციეო,
რომ დღე და ღამე ვსვათ და ვიძახოთ:
თვალი დაუდგეთ ტეტიებსაო,
ალაზანიც-კი მამა-უფალმა
ღვინოთ გვიქცია ჩვენ, მუღლეფაგებსო.
რისთვის უნდათ, ცეცხლი მოუდგან
მთელ საქართველოს ვენახებსაო,
ჩვენ მივცემთ ღვინოს ძლიერ იაფათ
სუყველა ქვეყნის სირაჯებსაო».
უსმინა ღმერთმა ხეჩო-ბაღიას
და ორთავ ნატვრა აუსრულაო,
ფიქრმა წაიღო ჩვენი ტეტია,
მის ენამ კარი დაიგულაო.
— ჰა, ჩქარა, ტეტი, ჩქარა ინატრე:
ან იქეც დათვათ, ან სხვა მხეცათო.
— ეჰ, მე რადა ჩემს ფეხებს ვინატრევ,
რაც კარგი იყო — თქვენ მოგეცათო.
— მოგიკვდეს, ტეტი, უტვინო თავი,
ნატვრის ხნოც არ გაქვთ ქართველებსაო,
მგლებმა დაგჭამოთ, რომ ქართველები
იქ მკვდრებს აკლიხართ, აქ ცოცხლებსაო!
უთხრეს ასე და ხეჩო-ბაღიამ
ტეტიას თავში ჩაატიალეს
ისე მაგრა, რომ ცხვარივით კაცი
გააბრაზეს და დაადრიალეს:
— რათა მცემთ თავში, თქვე სამგლეებო,
ჯერ მოვიფიქრო, დამაცადეთო.
აი ვინატრევ მე ქუდ-მოხდილი
და თქვენც ქუდები მოიხადეთო.
დაჩოქებულმა და ქუდ-მოხდილმა
ტეტიამ ცისკენ აიხედაო,
ხელებიც მაღლა ღვთისკენ ააპყრო
და დამბადებელს გაუბედაო:
—-ღმერთო, ცისა და ქვეყნის გამჩენო!
ხეჩო-ბაღიას დაგვახწიეო,
სოფლიჭამია მათი თავ-ტანი
უძრავ ლოდებათ გადმიქციეო.
ალაზანს ისევ ცხვარ-ძროხა სვამდეს,
მუხამ უგრილოს დასიცხულსაო,
და მე არ მინდა სხვა არაფერი,
ახალი შრომით შავჭამ პურსაო.
უსმინა ღმერთმა ხვეწნა-ვედრება
საწყალ-დაბრანძულ ტეტიასაო:
ლოდებათ იქცნენ ხეჩო, ბაღია,
თუმცა-კი ჰგვანდნენ ისევ კაცსაო,
მუხაც გამწვანდა, ცხვარ-ძროხა ჰსვამდა
წყალთავე ნაქცევს ალაზანსაო.
მადლი შესწირა ტეტიამ უფალს
და გაუშურა თავის გზასაო.

ლახვარიძე (დ. მაჩხანელი — ნადირაძე).

*) ქართველებს.

—

### ტფილისი

— „ცნობის ფურცელმა“ პრემიები გამოაცხადა თავის ხელის მომწერთათვის. კარგი და პატიოსანი! ღვთის წინაშე, ძალიან მოსაწონი საქმეა! სხვა ქართული გაზეთებიც ჩააფიქრა. მაგრამ რას იზამს კაცი? ავიწიე, ღონეს ჰქვია, დავიწიე— უღონობასაო, ნათქვამია; „ივერიამ“ კრინტი ვერ დასძრა, ხოლო, როგორც გადმოგვცეს, „კვალი“, ეს თამამი შვილი მომავლის დროისა, მომავლისა, რადგან მას «აწმყო გველივით ეზიზღება, წარსული ჭირივით ეჯავრება», მომავალ 1904 წლის ხელის მომწერთ დაურიგებს „კვალის“ №-ში დაბეჭდილს წერილს ევირიდულისას.

— სხვა ტფილისურს ამბებზე უკაცრავად გახლავართ; რეპორტერის ფული არ გახლავთ კასაში. ერთი იაფ-ფასიან რეპორტერი ვიშოვე, მაგრამ სულ დამპალ-დუმპალი ამბები მოაქვს: ამან ეს დასჭრა, იმან ის მოჰკლაო, აქ მთვრალი კაცი იპოვნეს, იქ გაფიჩხებულიო. ვისთვის რა საინტერესოა ესეთი ამბები? ავდექი და ისიც დავითხოვე.

—

### დაბახანის საპატიო წევრი.

დაბახანაში, როგორც მკითხველს მოეხსენება, იკრიბება მეტის-მეტად ჰუჰყიანი სარეცხი და მისნი მრეცხველნი მსგავსავე სიტყვა-პასუხს არიან დაჩვეულნი. ვისაც ერთხელ მაინც გაუვლია დაბახანის ახლო, როცა იქ თავმოყრილნი არიან მისნი მრეცხავნი, კარგად იცის, თუ რა სიტყვა—პასუხი მოისმის იქიდგანა. სწორედ ამის გამო დაიბადა და შემოღებულ იქმნა ტერმინი: „დაბახანის ენა“.

დაბახანელებმა მიიღეს „მოგზაური“, გადიკითხეს და აღტაცებაში თურმე მოვიდნენ. „ღირსეული ჟურნალიც ესა ყოფილა და ყოვლად ღირსეული რედაქტორიც ამასა ჰყოლიაო. დედა, დედა, რა ხალასი დაბახანური ენით ბრწყინავსო. ვიდას შეუძლიან ამის შემდეგ გვიკიჟინოს ავი ენაო. თვით ივან პავლიჩმა მოიწონა, დალოცა და გაამეფა იგი თავის სახელოვანს ჟურნალშიო. სწორედ სამართლიანად დაარქვა თავისს თავს „თავ-დადებული მამულიშვილიო“... აქო ერთმა, აქო მეორემ, აქო მესამემ, მეოთხემ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუალებას მიჰმართის, ხოლო ამას რა ბოლო ჰშვება, ყველას მოეხსენება. რასაკვირველია, მიზეზი ხალხის შეუგნებლობა არის. ათასგვარ ცრუმორწმუნეობას არ იქნა და ვერ დავაღწიეთ თავი. ან როგორ უნდა დავაღწიოთ? ამას ხომ ბრძოლა უნდა, სწავლა-განათლების ხალხში გავრცელება. ჩვენ-კი ამაზედ სუსტადა ვართ. ცოტა უმჯობესობაც არ გვეტყობა: იგივე ყველასაგან დაგმობილ მეთოდით სწავლება, ორჯერ-სამჯერ მეტი რიცხვი სკოლის გარეშე დარჩენილთა, ვიდრე მიღებულთა, და სხვ.

მიხა.

# კავკასია

**ალაგირი** (თერგის ოლქი) კავკავიდგან ორმოცდა-ათის ვერსის მანძილზეა. გაშენებულია სწორე და სალს ადგილზედ. სცხოვრობენ რუსები, ქართველები და ოსები. ყველანი ცალკ-ცალკე სცხოვრობენ; სკოლები ყველას ცალკე აქვთ, მასწავლებლები ცალკე ჰყავთ და ადგილ-მამულიც ცალკე უჭირავთ. საერთო აქვთ მხოლოდ საყდარი და სამმართველო. სამმართველოშიც სამთავ ერს თავთავისი წარმომადგენელი ჰყავთ.

ტაძარი ერთი აქვთ, მაგრამ წირვა-ლოცვა მხოლოდ რუსულად არის; მეტ წილ ქართველებს და ოსებს წირვისა არაფერი ესმის, რადგან მხოლოდ მცირე ნაწილმა იცის რუსული. მღვდელი თუმცა ოსია, მაგრამ, თუ მოინდომა, ქართული წირვა-ლოცვა კარგად შეუძლიან; ხალხიც დანატრულებულია ქართულ წირვას; როგორც აქ ხმები დადის, მეორე მღვდლის ადგილი იხსნება, მაგრამ ჩვენთვის რაა გასახარელი, თუ ისეთს არ დანიშნავენ, რომ ქართული წირვა-ლოცვა შეეძლოს.

ორ ნოემბერს ალაგირში მობრძანდა კავკავისა და მოზდოკის ეპისკოპოსი ყოვლად-სამღვდელო ვლადიმერი. ხალხი დიდის პატივისცემით მიეგება და მიართვეს პურ-მარილი (სამთავ ერმა ცალკ-ცალკე). ყოვლად-სამღვდელომ მიიღო პურ-მარილი, ხალხს მადლობა გადაუხადა და შებრძანდა საყდარში, სადაც გადაიხადა ღვთის-მშობლის დაუჯდომელი. შემდეგ ყოვლად-სამღვდელომ წარმოსთქვა სიტყვა და ამხილებდა ხალხს, ნუ იდოთებთ და უწესოდ ნუ იცხოვრებთო. მეორე დღეს დაიარა სკოლები და ძალიან უკმაყოფილო დარჩა სკოლების გამგეზედ, მამა კარაევზედ, რომელსაც, როგორც მასწავლებლებმა უთხრეს ყოვლად-სამღვდელოს, არავითარი ყურადღება არა ჰქონია სკოლებზედ.

ყოვლად-სამღვდელო ვლადიმერი აპირებდა ახლო-მახლო სოფლების დათვალიერებას, მაგრამ უდარობის გამო იმ დღესვე არდონში დაბრუნდა.

ყოვლად-სამღვდელოს რამდენიმე ქართველმა და ოსმა ცხენებით გზა გაუთავაზეს.

წელს აქეთ კარგი მოსავალი იყო; ხილიც ბლომად მოვიდა; მაგრამ შემოდგომა ძალიან ცივი და ავდრიანი დადგა, თოვლიც რამდენჯერმე მოვიდა. რაც უდარობამ დაგვაკლო, სხვა-და-სხვა სოფლებიდგან კენწისთვის მოგროვილმა ოსებმა შეგვისრულეს. ქუჩაში კაცი ვერ გაივლიდა, ქალი ხომ, ღმერთმა დაიფაროს,—უეჭველად შეურაცხყოფას მიაყენებდნენ; დუქნებიდგან რასაც მოასწრობდნენ, მგლებივით იტაცებდნენ; ქურდობით ხომ აქაურობა აიკლეს. ძალიან კარგი იქნება, რომ, ვისიც ჯერ არს, შემდეგისთვის ამ საქმეს მეტი ყურადღება მიაქციოს და ასე ძალიან არ დაასჩაგვრინოს მცხოვრებლები.

ჩხირკედელა

# რუსეთი

— უწმ. სინოდის ობერ-პროკურორი პობედონოსცევი 24 ნოემბერს მოსკოვში მისულა პეტერბურგიდან.

— შვეიცარიაში გარდაიცვალა მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ამხანაგი ა. ენგელგარდტი.

— ხარკოვის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში სადღესასწაულო კრება იყო იურიდიულის საზოგადოების წევრთა პროფ. კაჩენოვსკის ხსენების პატივსაცემლად. დარბაზი გაივსო ხალხით. წაკითხულ და წარმოთქმულ იქმნა სიტყვანი და მოგონებანი პროფესორებისა, სხვათა შორის, მ. კოვალევსკისაცა.

— როსტოვის ქალაქის საბჭო და შვილი ექიმის ტკაჩოვისა, რომელმაც 200,000 მან. დასტოვა როსტოვის სკოლებისათვის, მორიგდნენ ურთიერთ-შორის, როგორც ამას წინადაც გვქონდა მოხსენებული, მაგრამ მათი მორიგება არ დაამტკიცა ვოისკოვოი ნაკაზნი ატამანმა.

— ხარკოვის უნივერსიტეტის ერთ აუდიტორიაში სტუდენტ-იურისტების «საეკონომიო ამხანაგობის» კრებაზედ სტუდენტმა ნოსალევიჩმა წაიკითხა მოხსენება და ამტკიცებდა, რომ პირველ-დასაწყისს განათლების გავრცელებაზედ ბევრად არის დამოკიდებული ხალხის ნივთიერი და ეკონომიური კეთილ-დღეობაო.

# უცხოეთი

**მანჯურია** რადგანაც მანჯურიიდგან რუსეთის ჯარის გამოყვანაზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი რუსეთის მართებლობა იხსენიებდა რუსეთ-ჩინეთის ხელშეკრულობას, რომელიც დაუდვიათ 1896 წელს, და იმაზე ამყარებდა თვის უფლებას, იყოლიოს ჯარი მანჯურიაში. ამ ხელშეკრულობის შინაარსი უცხო სახელმწიფოებმა არ იცოდნენ. ეხლა ერთს ინგლისელს უყიდნია ჩინელებისაგან პირი ამ ხელშეკრულობისა და ინგლისურს ენაზედ დაუბეჭდია ერთს გაზეთში, რომელიც შანხაიში გამოდის. ხელშეკრულობაში, სხვათა შორის, სწერია: რუსეთს არა აქვს აზიის განაპირას არც ერთი ნავთსადგური, რომელიც ზამთრობით არ იყინებოდეს, და ამის გამო, უკეთუ ამ მხარეს ომი მოუხდა რუსეთს რომელსამე სახელმწიფოსთან, არა აქვს ღონისძიება თვისი ჯარი ზღვით მიაშველოს თავის სამფლობელოს. ჩინეთის მართებლობა ამ გარემოების გამო, თანხმდება დაუთმოს რუსეთს ნავთსადგურები კიაოჩაო, შანდუნის პროვინციებში, 15 წლის ვადით, როცა ეს ვადა გავიდოდა, ჩინეთს უნდა გამოესყიდნა ყველა შენობები, სახლოსნობი და სხვა, რასაც რუსეთი გააკეთებდა. უკეთუ რუსეთს სხვა სახელმწიფოებთან არავითარი შეტაკება არ მოუხდებოდა, არც მოსალოდნელი იქნებოდა, რუსეთს არ უნდა დაეჭირა ხსენებული ნავთსადგური, სხვა სახელმწიფოების მხრივ უკმაყოფილება არ გამოეწვია. ჩინეთს თავის მხრივ უნდა გაემაგრებინა პორტ-არტური ტალიენვანი და სხვა ნავთსადგურები, რომელთაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ, და რუსეთი ამ საქმეში დახმარებას ჰპირდებოდა.

გერმანიას გაუგია შინაარსი ამ ხელშეკრულობისა და 14 ნოემბერს 1997 წ., კიაოჩაო ნავთსადგური დაუჭერია თავის გემებით. ინგლისსაც მოუთხოვნია, ტალიენვანის ნავთ-სადგური კარ-ღია იყოს ყველა სახელმწიფოებისათვისო, და ივისი ფლოტი გაუგზავნია პორტ-არტურისაკენ ხოლო რუსეთს უკვე დაუჭერია ეს პორტი 16 მარტს 1896 წელს. ამას მოჰყვა რუსეთ ჩინეთის შეტაკება, რკინის გზის აშლა, ინჟენერებისა და მოხელეების დახოცვა ჩინელების მიერ და სხვა. ქ. ბლაგოვეშჩენსკს ყუმბარები დაუშინა რუსეთის ფლოტმა. რუსებმა განდევნეს ჩინელები და მანჯურიაში ჯარი შეიყვანეს.

რადგან რუსეთ-ჩინეთის ხელშეკრულობის ასრულებას გერმანიამ ხელი შეუშალა და რუსეთის მიერ აღთქმული დახმარება ვერ ასრულდა, ჩინეთს ჰგონია, რომ ხელშეკრულობამ ძალა დაჰკარგა და არც ერთი მხრისთვის სავალდებულო არ არის.

რუსეთი-კი ამ საქმეს სხვანაირად უყურებდა. მანჯურია დაიჭირა და სისხლი დაღვარა, ჩინეთის მართებლობისათვის კი არა, რადგან იმ დროს ჩინეთი რუსეთს ეომებოდა და რუსეთის საქმეს იღებდა, არამედ რუსეთის ინტერესებისთვის, ჯარის გამოყვანა მანჯურიიდგან შესაძლოდ ვეღარ დაინახა.

გაიბა მოლაპარაკება, მაგრამ არავითარი სასურველი შედეგი არ მოჰყვა.

მანჯურიას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩინეთის სამეფო ტახტისათვის, პოლიტიკური და სარწმუნოებრივი, რადგან მანჯურიამ მოსცა ჩინეთს ამ დროის იმპერატორების დინასტია. იქ არის იმპერატორების მამა-პაპათა სამარე. ამიტომ ჰფიქრობენ მანჯურიის დათმობა ჩინეთის სამეფო გვარეულობისათვის სახელ-გატეხა და დამხობააო.

# ნარკვევი

სახელოვანი იურისტი და მწერალი, აკადემიკოსი ა. კონი სწერს სპასოვიჩის შესახებ ,,პრავოში''.

გიმნაზიის მეექვსე კლასის შეგირდი ვიყავ. ამხანაგებთან ერთად თავისუფლად დავდიოდი უნივერსიტეტში და გულისფანცქალით ვისმენდი კოსტომაროვის მოქარგულს, სურათიანს ლაპარაკს და სპასოვიჩის ორიგინალურს ცხოველს სიტყვას. მათმა ლაპარაკმა პირველად გაგვაგებინა ჩვენ, ჯერ ისევ ჭაბუკთ, სათემოსთვიოთ ცნებანი. თითქო თვალ-წინ მიდგია, ისე გხედავ, როგორ კითხულობდნენ მაშინ ლექციებს პროფესორები პირველის თავი სუფთად რუსთა უნივერსიტეტისა, სადაც გაისმოდა ზე-შთაგონებული და აღფრთოვანებული სიტყვა კათედრისა და სადაც ესტრადაზედ კათედრის დასაჭერად მარდად ადიოდა ერთი კაცი მოკლედ-გაკრეჭილ თმით, მხნე პირი-სახით და ცხოველ, განმწონელის თვალებით. ამ თვალების სიღრმეში ენთო აღი აზრისა და გაბედული სურვილი ჭეშმარიტის ცოდნისადმი მისწრაფებისა... ეს პროფესორი იყო სპასოვიჩი...

## სამეცნიერო წერილები.

მეცნიერ მარმორეკის მიერ გამოგონილი ჭლექის საწინააღმდეგო შრატი*).

პარიჟის სამკურნალო აკადემიას 17 ნოემბერს (ახალ სტ.) დოქტორმა Marmorek-მა მოახსენა თვის მიერ გამოგონილ ჭლექის საწინააღმდეგო შრატის გარემოება. ჩემმა დაკვირვებამ და გამოკვლევამ დამარწმუნაო, ამბობს მარმორეკი, რომ კოხის ლიმფა ანუ ტუბერკულინი ჭლექის ბაცილების ნამდვილ შხამს - ტოქსინს კი არ შეიცავს, ეგ მხოლოდ ისეთი რეაქტივია, რომელიც ისე მოქმედობს ბაცილებზედ, რომ ამათ გამოაქვთ სულ სხვა განსაკუთრებული შხამი, რომელსაც საერთო არა აქვს რა ამ ბაცილების შხამთან.

აქამდინ ნამდვილ ჭლექის ბაცილების ტოქსინი არ იყო აღმოჩენილიო,—ამბობს ეს მეცნიერი,—რადგან ამ ბაცილებს იმ ნიადაგზედ არ ასაზრდოვებდნენ, რომელიც ხელს უწყობდა მათს ბუნებრივ ზრდა-გამრავლებას. ამ გვარ საუკეთესო ნიადაგათ უნდა ჩაითვალოს ერთად შეზავებული ხბოს თეთრ ბურთულების შრატი და ბულიონი ღვიძლის გლიცერინის ნაწურისა.

ამ გვარად მოშენებული ბაცილები ბევრად განსხვავდება ტუბერკულინისაგან, სამაგიეროდ, ახლა ისეთი მომწამლავი ნივთიერებაა მასში, რომელიც ჰხოცავს პატარა ცხოველებს; გარდა ამისა ეს ნივთიერება—ტოქსინი თითქმის ერთგვარად ჰმოქმედობს, როგორც საღ ცხოველებზედ, აგრეთვე ჭლექიანზედაც.

მხოლოდ ამ მომწამლავ ნივთიერებით—ტოქსინით—შესაძლოა, მარმორეკის აზრით, აცრა ზღვის პატარა ღორებისა. როდესაც ამ გვარად მოშენებულ ჭლექის ბაცილებს გასწურავთ და მიიღებთ სითხეს, რომელიც უკვე განთავისუფლებულია ჭლექის ბაცილებისაგან, მაშინ ამ სითხეში გექნებათ ნამდვილი ახლად აღმოჩენილი მარმორეკის მიერ ტოქსინი; ამ გზით მიღებული ტოქსინი აუცრა მან ცხენებს, რომლებისგანაც მიიღო ტოქსინის საწინააღმდეგო შრატი. აი ამ შრატს აქვს თურმე განმკურნველი თვისება ჭლექისა; ჯერ ჭლექიან პირუტყვებზე სცადა, მერმე-კი მარმორეკმა ადამიანსაც დაუწყო წამლობა.

მთელი ერთი წლიწადი ვცდიდი ჩემ გამოგონილ შრატს და დავრწმუნდი, რომ ყოვლად უვნებელია; არავითარ რეაქციას არ იწვევს, არც იმ ადგილას, სადაც ვუცრით და არც საზოგადოდ მთელ ტანშიო, სთქვა მარმორეკმა.

ჭლექიანი ავად-მყოფები ორ გვარნი იყვნენო: პირველ ჯგუფს ეკუთვნოდნენ ისინი, რომლებსაც ჭლექის საწამლავით მოშხამული ჰქონდათ მთელი სხეული, ფილტვები უკვე დალპობილი ჰქონდათ, მუდამ სიცხეს აძლევდა. მეორეს კი ისინი, რომლებსაც ერთი რომელიმე ორგანო, მაგ., ფილტვები ჰქონდათ მოწამლული, მთელ სხეულს-კი ჯერ-ჯერობით სისაღე არ აკლდა. მარმორეკმა ორთავე ავათ-მყოფებზედ სცადა ეს შრატი და იმ დასკვნას დაადგა, რომ რამდენადაც უფრო ახლად დაწყებულია ჭლექი, თუნდაც რომ ფილტვები ძლიერ ჰქონდეს დაზიანებული, იმდენად ავადმყოფი მალე განიკურნება ამ შრატით, ვიდრე ის, რომელიც დიდ ხანს ავად არის, თუმცა ფილტვები ცოტა ოდნავ ჰქონდეს გაფუჭებული ჭლექისაგან.

ყველა ავადმყოფები, რომლებსაც ეს მეცნიერი სწამლობდა, ნამდვილი ჭლექიანები იყვნენ, ემჩნეოდათ ჭლექის ყველა ნიშნები, ისეთიც, რომელიც ჭლექიანის მძიმე მდგომარეობას აღნიშნავს: გამუდმებული სიცხე, განუწყვეტელი ოფლის დასხმა, ნახველი, რომელშიაც თვალ-მადიდი მრავალ ბაცილებს აღმოაჩენდა და სხვა.

ჩვენმა ახალმა შრატმა ფრიად შესამჩნევი გავლენა იქონია ყველა იმ ჭლექიანზედ, რომელზედაც-კი ვცადეთო, გაუმჯობესდა საზოგადო თვით-გრძნობიერება ავადმყოფისა, მოემატა ძალ-ღონე, უკლო ხველამ და მასთან ბაცილების რიცხვმაც იკლო, ამასთან თვით ფილტვებსაც შესამჩნევი გაუმჯობესობა დაეტყო, რომლებმაც თან-და-თან საღ ორგანოს თვისებანი მიიღოვო.

ჩვენ გვყავდა ისეთი ჭლექიანები, რომლებიც სრულიად განიკურნენ ამ სენისაგანო,—გვარწმუნებს მარმორეკი, და თუ დროზედ მიუსწრო ჩვენმა შრატმა და მასთან გულ დასმითაც იწამლა ჭლექიანმა, დარწმუნებული ვარ, სრული განკურნება მოელის ყველასაო.

განსაკუთრებით ძლიერი მოქმედება აქვს ამ შრატს იმ შემთხვევაში, როდესაც ავადმყოფს ტუბერკულოზით—ჭლექის ბაცილებით—ძვლები, სახსრები და ჯირკვლები აქვს მოწამლული; ყველა ამგვარნი ავად-მყოფნი ძლიერ მალე განიკურნენ, სხვა გვარი წამლობა სრულებით უარყოფილი იყო და მხოლოდ ამ შრატის მოქმედებით განიკურნენ.

ეს შრატი მოქმედობს კარგად პლევრიტზედაც; უმეტესი ნაწილი პლევრიტისა გამოწვეულია ხოლმე ჭლექის ბაცილებით. ამ შრატის გავლენის წყალობით ძლიერ მალე და ადვილადაც გაივლის ავადმყოფს პლევრიტის ნიშნები. შვიდში ექვს პლევრიტით ავადმყოფს საკვირველი სისწრა-

*) Académie de Medicine, sèance du 17 novembre 1903. serume et vaccin antituberculeux.

---

მეხუთემ და ერთხმივ გადასწყვიტეს: „არჩეულ იქმნას ივან პავლიჩი როსტომოვი პირველ საპატიო წევრად დაბახნის საზოგადოებისა და ჯეროვანი დიპლომიც მიერთვასო“.

უფასო რეპორტერი.

### ნატვრა.

ახ, ნეტავი, სიკვდილმან პირი მიყოს,
ეგებ მოვრჩე ამდენ უბედურებას;
წყალმან შთანმთქას, ანუ სადმე გამრიყოს,
მით განვშორდე ჩემს მტანჯველის ყურებას.
რისთვის ვნატრობ მე სიკვდილსა, რადგანა—
ვიტანჯები, ვიწვი უსამართლობით;
ტყვია მომხვდეს, ანუ დამცენ გულს დანა,
ქუდს მოვუხდი, თაყვანსა ვსცემ მადლობით.
განვისვენო ხორცით შევიქმნე მკვდარი,
სული მაინც განვაშორო წამებას,
მით მოისპოს ტანჯვა-გვემის სადსარი
და ვედირსო ამ გულის დაამებას.
და მე მკვდარსა იქ მომგვართნ ისიცა,
რომელიც აქ ბრჭყალებს მიჭერს გულზედა
და რომელმაც სიცრუით დაიფიცა,
მომამატა წყლული უფრო წყლულზედა.
შევხედო და იმანაც შემომხედოს;
ვუთხრა კიდეც, ორთავენი მკვდარნი ვართ,
მოიგონე, სისხლს რომ მიშრობდი ერთ დროს,
ეხლა, ჰხედავ, მიწად თანაბარნი ვართ.
აღარ გახსოვს, ღარიბს არ ჰკადრულობდი!..
არცკი გსურდა იმის გვერდით გაგევლო,
დღე და ღამე სულ იმას ნატრულობდი,
სხვის ოფლისთვის ხელი როგორ წაგევლო
შენთვის იყო თანაბარი ყოველი,
ოღონდ შენ-კი კმაყოფილად გეცხოვრა,
შექმნილიყავ სხვისა სისხლის მწოველი,
იმას იუნდა ქუჩა-ქუჩა ემთხოვრა.
მოიგონე, სიკვდილს რომ არ ელოდდი,
შენ გეგონა, არას დროს მოჰკვდებოდი,
გით შაყარს გულსა მიწა მე, ლოდი,
შენც იმ გვარად ჩემთან გასწორდებოდი.
სულ გათავდა! . რაც სიცოცხლით იმეფე,
უსამართლოდ მბრძანებლობდი, გმირობდი,
ეხლა გმართებს,—ინანდე და იგლოვო,
რადგან მაშინ ერთიანობდი, ვირობდი...

ან—განჯის—კარელი.

### ჩვენებური ამბები

**ქ. ოზურგეთი**. „რაც მოგივა დავითაო, ისევ შენი თავითაო“. მართლაც, რაც მოგივა, ოზურგეთო, ისევ შენით. ჩვენი დედა ქალაქის მამები, მამობის მაგივრად ნამდვილ მამინაცვლობას უწევენ ოზურგეთის მცხოვრებთ. დღემდინ ქალაქის განათება იჯარით იყო გაცემული, მაგრამ ეხლა თვით ქალაქმა იკისრა განათება და ნამდვილი სინათლეა ღამღამობით (დღეს რომ დავეთხოვოთ!) ქუჩებში: წინაზე სეირნობა იყო ქალაქის „ბულვარზე“; ღამე ბნელი იყო და ოზურგეთლები ბნელაში სეირნობდნენ (ამას ქვია უტყუარი სინათლე!); ხოლო რომ მოსეირნენი მარცხისაგან(!) დაეცვათ, ერთმა მოსეირნეთაგანმა დაიკავა ხელში ანთებული კართოფილის სანთელი და ამ ნაირად შეძლება მისცა მოსეირნეთ ერთმანერთი ეცნოთ. დადიოდა და ოხუნჯობდა (რაიც სამართლიანია): „ქალაქი ანათებს ბულვარს და არა მეო“. დღემდინ ოზურგეთში „ბულვარი“ იყო და ეხლა „ბრეხალოვკა“-თ მონათლეს. აი როგორ წარმოსდგა ეს სახელი: ჩვენი „მოდნა-შლიაპების“ მოტრფიალე დულცინეიები, უსაქმობისა გამო, წავლენ „ბულვარზე“ (ბრეხალოვკაზე—სალაყბოზე), სთხზავენ ათას გვარ ჭორებს და უზიარებენ თავის ნაცნობებს. აი სად ყოფილა დამარხული ძაღლის თავი და რა საქმე ჰპოვეს! სწორეთ ამას ქვია: „ერთი ნაბიჯით წინ!“ ან იქნებ უკან?მაგრამ ამის თქმას იუკადრისებენ?..

დ. ელპიტისშვილი.

**ხონი**. თუ გინდათ სეირს უყუროთ მობრძანდით დ. „ხონში“ პარასკევს—რა გინდათ, რომ აქ არ გაიგონოთ: დედამამის გინება, რევოლვერის სროლა, ქალების კივილი.

ამ დღეს ვაჭრებს ნახევარჯელ ჩამოხურული აქვთ დუქნის კარები. კაი ბიჭია, და ნუ ჩამოხურავს! ვილაც წუნუით გაჟღენთილი ყმაწვილი შეუვარდება დუქანში, და მაყურებლების სასიამოვნოდ სრულიად მილეწ-მოლეწავს იქაურობას!

ბ-ნმა ბოქაულმა „ღოროდოვებს“ ბერდანკის დაკიდების უფლება მიანიჭა; შესაძლოა, ბერდანკის შეეშინდეთ მთვრალ ყმაწვილებს და ხონის ბაზარი სათამაშოდ და სათარეშოდ არ გახადონ! მაგრამ ისინი უწესოებას მაინც მოახდენენ, თუნდ ბოქაულმა „ღოროდოვებს“ ზარბაზნებიც ჩამოჰკიდოს.

ხ—ი.

### ნარევ-ნაკვეს-გასართობი.

ქართველ ფილოსოფოსის აზრები.

თუხარელმა წიგნი გახსნა: მზე რომ ჩავა, დაბნელდება; კოჭობი რომ წაიქცევა, შექამანდი დაიღვრება.. სადილი მაშინ უნდა ჭამოს კაცმა, როცა მოჰშივდებაო. იმიტომაც დიდი ფილოსოფოსი კაცი იყო ცხონებული. მისვე ფილოსოფიამ გვასწავა, რომ, თუ ცხენი არა გყავს, აუცილებლივ ფეხით ჩანჩალი მოგიხდებაო... არა ჰგვანებია ცხონებული ეხლანდელ გაზეთის ფილოსოფოსებს, რომელთაც ვერც ერთ კითხვაზე გადაჭრით პასუხი ვერ მიუციათ: ხან მარქსსა სწვდებიან, ხან კანტსა, თითონ ხომ უკუნ ბურუსში სტოპავენ, ჩვენც ვაარჩენენ ხახამშრალსა.

ქიზიყელი ბანოვანი.

### ნაწყვეტი

თაყვანსა ვსცემ მუხლ-მოდრეკით
კაცთა ნაშობს ხერხს, ხელოვნას,
მაგრამ ვგმობ და ზიზღით ვუცქერ
უსამართლო მძლავრთ მძლეობას.

—

ნუ თუ კიდევ დრო არ არის,
რომ ამაღლდეს კაცი სულით?
თვის ხატებას პატივს სცემდეს,
ეპყრობოდეს სიყვარულით?!

—

ერთს რათა სურს მეორეზე
გამეფდეს და გაბატონდეს,
მონად ჰხადოს ძმა და თვისი
და სიცოცხლეს მით უსპობდეს?!

კორტოხა.

### გოდება

ვაი ჩემსა ბედისწერას:
უკულტურო მოკულტურებს.
თვით უვიცი, არრის მცოდნე—
ისწავლეო, მიტურტურებს.
ზნეს და რწმენას, სიწმინდესა
მილახავს და მეუბნება:
ველური ხარ, გაგანათლებ,
მხოლოდ რიზგიც მოგინდება.
უმათრახოთ ვერრას იგრძნობ,
ძალა მაქვს და მემორჩილე;
გადმოგვარდი,—მე არ მიყვარს
შენიანთა «სიყმაწვილე».
რასა კვნესი და რას ეძებ,
სად გაქვს ნეტავ შენ წარსული?—
დაივიწყე მშობლებისა
პატივი და სიყვარული!..
ვაი ჩემსა ბედისწერას,
თვით არ ძალმიძს პასუხგება,—
მით ვნუკვეშობ, საპასუხოთ
ნორჩი შვილი გამეზრდება.
ძირს გაუთხრის, დაამარცხებს
უსამართლო „ბრძანებასა“,
შეაჩვენებს დროს უკუღმართს,
მოსპობს სულის მონებასა!..

უსუფ უმუთ-ოღლი.

რედაქტორ-გამომცემელი ია ერაძე.

ფით გაუქრა წყალი, რომელიც გულის ბოყვში უდგა, უმატა შარდმა, რასაც სრული ჯან-საღობა მოჰყვა.

მარმორეკი იძლევა რჩევას, რომ დიდის ხნის ავადმყოფს ჰლექით უნდა მეტი შეუშხაპუნოთ ეს შრატი და მასთან განმეორებით. ერთს ავადმყოფს 56 ჯერ განუმეორე შრატის შეშხაპუნებაო. მხოლოდ ერთს ეყო 7 ჯერ შეპკურება ამ ავადმყოფს ყელის ჯირკვლები ჰქონდა მოწამლული ჰლექითაო.

2000 ჯერ შეუშხაპუნებია თურმე მარმორეკს და მხოლოდ სამ შემთხვევაში დაჩირქებულა ის ადგილი, სადაც შემაშხაპუნებელ მანქანის ნევსი მოჰხვდა. ეს შრატი სრულებით არ უმატებს ჰლექიანს სიცხეს, არამედ რამდენისამე დღის შემდეგ უნელებს კიდევაც; ავადმყოფს არ ასუსტებს და ერთის სიტყვით არავითარ მავნე რეაქციას არ იწვევს, განკურნებით-კი სრულებით ჰკურნავს.

ექიმი ბადრიძე.

# დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან.)

27 ნოემბერი.

**ეკატერინოსლავი.** სანჭომ დაადგინა ახლად აშენებულ ქალაქის სახლში ააგოს ძეგლი მეფე-განმათავისუფლებელისა.

**ბერლინი.** რეისტაგი. იმპერიის კანცლერმა მწუხარება განაცხადა იმის გამო, რომ ბებელმა რუსეთი ცუდად მოიხსენია. გრაფი იმ აზრისაა, რომ ბებელის სიტყვის კიდო გაახარებს საზღვარგარეთელ მტრებს, რომლებიც სცდილობენ დაჩრდილონ კეთილ-განწყობილება რუსეთსა და გერმანიას შორის; ხოლო დარწმუნებულია, რომ პალატის უმეტესობა მას მიემხრობა, უკეთუ ის პირდაპირ განაცხადებს, რომ ამგვარი თავ დაუჭერელი კრიტიკა არ შეესაბამება არც ღირსებასა, არც სურვილს და არც ინტერესებს ხალხის უმრავლესობისას, და უკეთუ გამოსთქვამს, რომ ბებელი ხელს ვერ შეუშლის მზრუნველობით დაიცას განწყობილება გერმანიისა და რუსეთისა.

**ვაშინგტონი.** რამდენისამე კვირის წინად იაპონია გულ-ახდილად დაეკითხა შეერთებულ შტატებს, მატერიალურად დაეხმარება თუ არა იაპონიას, უკეთუ ომი ასტყდა. ვაშინგტონის მართებლობამ უპასუხა, ვერ დაგეხმარებით.

**შანხაი.** როგორც ამბობენ, იმპერატორი მალე გამოიწვევს ბერლინიდან ჩინეთის ელჩს გენერალ-ლეიტენანტ ინჩანს და უფროს სარდლობას ჩააბარებსო მანჯურიის ჯარებისა, რომელიც ევროპიელ აფიცრების მიერ არის გაწვრთნილი.

**ლონდონი.** სანდრინგემის სამეფო დარბაზში ცეცხლი გაჩნდა, დედოფლის საწოლის გვერდით, სადაც ფრეილინებს ეძინათ. ამათ გამოეღვიძათ და დედოფალს შეატყობინებს. მისმა უდიდებულესობამ საწოლი ოთახი მიატოვა, სადაც მალე ჭერი ჩაინგრა. მიზეზი ცეცხლის გაჩენისა ელექტრონული ლამპარი უფთილა. ცეცხლი მალე ჩააქრეს.

**ტოკიო.** რადგან პარლამენტმა მთავრობის საწინაამდეგო პასუხი დაადგინა სეფესიტყვის გამო, კრების გადადებასა ჰფიქრობენ, ანუ პარლამენტის დათხოვნას.

**სტამბოლი.** მაკედონიის ორთავ აგენტისათვის, რომელნიც მალე მოვლენ, შეადგინეს ინსტრუქციები. ხმებია, რომ სულთანად ნამუთვი მურადი ავად გახდაო.

**ვენა.** დეპუტატთა შორის 27 ნოემბერს ბევრს ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ შესაძლოა პალატა დაითხოვონო.

**ბელგრადი.** 27 ნოემბერს აქ ბორის სარაფოვი მოვიდა.

**ლისაბონი.** ისპანიის მეფის პატივსაცემლად სასახლეში სადღესასწაულო სადილი იყო გამართული. მეფემ ისპანის მეფის სადღეგრძელო მიირთვა. საპასუხო სიტყვაში უკანასკნელმა შეაქო მეგობრობა ორ ერთა შორის.

29 ნოემბერი

**ტოკიო,** დღეს პალატა დაითხოვეს. ოფიციალურს წრეებში იმედი ჰქონდათ, რომ დეპუტატთა პალატა დღეს უკან წაიღებდა იმ საყვედურს, რომელიც მან სეფე სიტყვის გამო პასუხად გამოუცხადა მთავრობას. იმის გამო, რომ ეს აღარ მოხდა, მთავრობამ გარდასწყვიტა პალატა დაითხოვოს.

**ვენა.** რეიხსრატის პოლონელთა კლუბს 11 დეკემბერს (ახალი სტილი) მსჯელობა ჰქონდა საქციელის გამო იმ თვის თანაწევრთა, რომელნიც დელეგატებად აირჩიეს. დეპუტატი დზედუშინსკი იცავდა გარეშე საქმეთა მინისტრის პოლიტიკას, დეპუტატმა გორსკიმ აღნიშნა, საჭიროა გარეშე პოლიტიკა შინაურ ზედგავლენას ავაცილოთო; ის ამტკიცებდა, რუსეთის და ავსტრიის დაახლოვებას, რომელიც მიურცშტეგის ნახვის დროს გამოითქვა; ეს დაახლოვება მონარქიების ინტერები სათვის ხელსაყრელიაო. ორატორმა სიამოვნებით აღნიშნა, რომ მისს შეხედულობას ბევრი წევრნი პოლონელ კლუბისა თანაუგრძნობს.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად დაამტკიცა უწმინდესი სინოდის მოხსენება, რომელითაც იქმნა დანიშნული წინამძღვრი ტფილისის ფერისცვალების მონასტრისა არქიმანდრიტი ევთიმე ალავერდის ეპისკოპოსად.

**პეტერბურგის ბირჟა** 25 ნოემბერი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,80 |
| ბერლინში 100 მარკაში | 45,90 |
| პარიჟში 100 ფრანკში | $37,32^1/_2$ |
| ლონდონში ჩეკები | 94,75 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | $37,62^1/_2$ |
| ბირჟის დისკონტი | $5—6^1/_2\%$ |
| 4% სახელმწიფო რენტა | $99^1/_2$ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | $95^1/_8$ გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | $457^1/_2$ გაყიდ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 342 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | $290^1/_2$ გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| $4^1/_2\%$ ობლიგაც იმავე საზოგადოებისა | — |
| $4^1/_2\%$ ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა | $92^1/_8$ წვ. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |

**რკინის გზის მიმოსვლა.**

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათომს**: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

**ბაქოს**: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

**ყარს-ერევანს**: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

**ტფილის-ბაქოსაკენ**: 1) დილის 9 ს. 32 წ. 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

**ტფილის-ბათომისაკენ**: 1) შუადღის 1 ს. 48 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 8 წ.

დ) ქუთაისიდან:

**ბათომისაკენ**: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

**ტფილის-ბაქოსაკენ**: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

**ჭიათურა-დარკვეთისაკენ**: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

**შორაპნისაკენ**: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

## გამოსადეგი ცნობები.

**საეკლესიო მუზეუმი**

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს— ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებია-ქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და ქალის საბებიო ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

**ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი**

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 4 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ, თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან., უვადოში—3 მან.

**კავკასიის მუზეუმი**

მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

პირუტყვთა სამკურნალო.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ დაარსებული პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ვეთილი კ. ა. ატრენოვი დილის 8 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ვეთილებიც რიგ-რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ვეთილი ნ. ბრიუსი $1^1/_2$-დგან 2-მდე და ა. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

**ნიხრი ხორცისა.**

საქონლის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| 1 ხარისხისა გირვანქა | 11 | კ. |
| 2 ” | 8 | კ. |
| 3 ” | 96 | კ. |
| სუკი | 15 | კ. |
| ცხვრის ხორცი | 10 | კ. |
| კამეჩისა | 7 | კ. |
| ღორისა | | |
| 1 ხარისხის (საკატლეტე) | 11 | კ. |
| 2 ” (ბარძაყი) | 10 | კ. |
| 3 ” (დანარჩენი ნაწილი, ტყავებული) | 8 | კ. |

ნიხრი პურისა.

თორნეში გამომცხვარი

| | | |
|---|---|---|
| 1 ხარისხისა | 5 | კ. |
| 2 ” | $3^1/_2$ | კ. |
| 3 ” | 3 | კ. |


# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

აცხადებს რომ მეცხრე საპოლიციო უბანში **საჭიროა სადგური კუკიის საქალაქო სამკურნალოსათვის**, არა ნაკლებ 10 ოთახისა. სახლის პატრონებმა, რომელთაც სურთ თავისი სახლი მიაქირაონ ქალაქს, უნდა მისცენ ქალაქის გამგეობას წერილობითი განცხადება 7 დეკემბრამდე ამა წლისა და მოიხსენიონ ადრესი და ოთახების რაოდენობა.

(3—1)




ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. ბ. თოფურიას

**სამკურნალოში,**

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროს კოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანეთიდან 3 მანეთამდე.

გამოვიდა და იყიდება ყველგან ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ № 63.

შოთა რუსთაველის

**ვეფხის ტყაოსანი**

4 პორტრეტითა და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ვრცელის ლექსიკონით.

XXX+361 გვ. ფასი სამი აბაზი.

50 ცალი დაბეჭდილია სქელ ქაღალდზედ და თითო ცალი ღირს ერთი მან.

გამოვიდა და იყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

**ქაჯანა**

მოთხრობა ნ. ლომაურისა ფასი 5 კაპ.

2.

**ალი**

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას. დადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Общество распростр. грамотности.

გამოვიდა და იყიდება «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში», „გუტენბერგის“ სტამბაში და ქუთაისს მ. ლაღიძესთან

**ორი პუბლიცისტიური წერილი**

თ-დის აკაკი წერეთლისა.

ფასი ორი შაური.

(10—10)

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ მის. ქარხის გამწოდებნი

**ჩ ა ი**

**ამხანაგობა ჩაის ვაჭრობისა**

**ვ. ვისოცკი და კ°**

**მ ო ს კ ო ვ ს.**

ტფილისის განყოფილება

მეიდანი, რკინეულობის ბაზარი, ტელეფონი № 432.

მირის თანხა **6.000.000** მანეთი.




წლიური ალებ-მიცემობა **20.000.000** მანეთზედ მეტი.

ჩაის მაღალის თვისების წყალობით და მეტადრე ძლიერის სურნელებისა, ნაზის გემოვნებისა და მუქის ფერის გამო, ჩვენმა ფირმამ დაიჭირა პირველი ადგილი ევროპაში წვრილად გაყიდულ ჩაის რაოდენობით.

ჩვენს ქარხნებში, რომელიც მოსკოვსა და ოდესაშია, საცა იწონება ჩაი და იხვევა პარკებად, მუშაობს 1,500 კაცზედ მეტი.

**ჩვენი ჩაი იყიდება რუსეთის იმპერიისა და საზღვარ-გარეთის ყველა საუკეთესო მაღაზიაში.**

ჩვენის ფირმის ჩაის ყიდვის დროს ვთხოვთ ბ-ნთ მყიდველთ მიაქციონ ყურადღება სწორედ ჩვენი სავაჭრო მარკა—**ხომალდია**,—მთავრობისაგან დამტკიცებული, ზედ დახატული, თუ არა და მოითხოვონ **ჩაი ვისოცკისა ხომალდით.**

გამგეობა ამხანაგობისა მოსკოვშია.

**განყოფილებანი:**

ოდესას, ვარშავას, როსტოვს-დონ., ეკატერინბურგს, ხარკოვს, ტფილისს, რიგას, ვილნოს და სიმფეროპოლში. აგრეთვე ნიჟეგოროდისა და ირბიტის ბაზრობაზედ.

ადრესი ამხანაგობისა მოსკოვსა და განყოფილებათათვის: „Товарищество чайной торговли В. Высоцкій и К-°“.

დეპეშებისათვის: „Корабликъ“.

**ჩაი მთავრობის ბანდეროლით**

(20—5)

ს ა წ ე რ ო ბ ი ქ ა ღ ა ლ დ ი ს

მოსკოვი 1882 წ. **დიტიატკოვის ამხანაგობა** ნოვგოროდი 1896 წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტფილისში.

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, ალბომის ქაღალდი აგრეთვე ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.

ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.

ტელეფონი № 66. (30—6.—30)


Дозволено цензурою Тифлисъ 29 ноября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзэ Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи. დროებით რედაქტორი ზ. ჭიჭინაძე, გამომცემელი ა. ხარაჯიშვილი.